ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1758848

ნომერი: AR1286162

თარიღი : 13.02.2015

გაცემის თარიღი : 02.03.2015

გაცნობის თარიღი : 02.03.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დიდი ხეივანი ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რამინ დევაძე პ/ნ 01030047135
- თბილისი ტყეკულტურის III შეს. N 7

ორგანიზაცია:
- შპს "EHRLE CAUCASUS" კოდი: 404970689

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.11.2014 წ. #1599447 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 13.02.2015 წ. #AR1286162 განცხადებით მომართა რამინ დევაძემ და მოითხოვა 17.11.2014 წ. #1599447 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 17.11.2014 წ. #1599447 გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ქუჩა დიდ ხეივანზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.18.05.008.001; ფართობი: 1470 კვ.მ.) ავტოსამრეცხაოს (დროებითი სტატუსის) აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

საპროექტო ობიექტზე მინიჭებული დროებითი სტატუსის მოხსნის შესაძლებლობაზე საკითხი განიხილა ”ქ. თბილისის ტერიტორიებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიამ” (სხდომის ოქმი #17 (19.02.2015 წ.)), რომლის წევრთა რეკომენდაციების გათავლისწინებით საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აღნიშნული ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.11.2014 წ. #1599447 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: პირობებიდან ამოღებული იქნას შემდეგი პუნქტები:
   - აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე გაიცა სპეციალური (ზონალური) შეთანხმება ავტოსამრეცხაოს (დროებითი სტატუსის) განთავსების მიზნით;
   - ქალაქის საჭიროებიდან გამომდინარე, ობიექტი მისი პირველივე მოთხოვნისთანავე დაექვემდებარება დემონტაჟს, რისთვისაც მშენებლობის ნებართვის გაცემის დროს წარმოდგენილი უნდა იქნეს ამ პირობაზე თანხმობის ამსახველი ნოტარიალურად დამოწმებული აქტი;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.11.2014 წ. #1599447 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი 12-ე კ.მ. #6) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.